ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

# საგანგებო მდგომარეობის დროს და შემდეგ კოვიდ-19-თან დაკავშირებული სახელმწიფო ხარჯების და ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგი





## პროექტის მიზანია:

საქართველოში პანდემიის წინააღმდეგ მიმართული ზომების ეფექტურობისა და პროპორციულობის გასაზრდელად წვლილის შეტანა.

## ამ მიზნის მისაღწევად, პროექტი შეეცდება:

1. გაზარდოს მთავრობის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა კოვიდ-19-თან დაკავშირებული საჯარო ხარჯების და ანტიკრიზისული გეგმის შესრულების კუთხით, მონიტორინგის, ანგარიშვალდებულების, ცნობიერების ამაღლების და ადვოკატირების მეშვეობით.

2. გააუმჯობესოს ადამიანის უფლებების სტანდარტები მონიტორინგის, ადვოკატირების და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მეშვეობით.

## პროექტის დეტალები:

**ხანგრძლივობა:**
ივლისი 22, 2020 – ივლისი 21, 2021

**ფინანსური მხარდამჭერი:**
ევროკავშირი

**სამიზნე ჯგუფები:**
საქართველოს მოსახლეობა, მოწყვლადი ჯგუფები, პანდემიის მიერ ყველაზე მეტად დაზარალებულ რეგიონების მოსახლეობა, ხელისუფლების წარმომადგენლები

# პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი აქტივობები:



- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საჯარო ფინანსების, საჯარო შესყიდვების, მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის შესრულების, StopCov ფონდის ხარჯვის და დონორთა დახმარების განაწილების მონიტორინგი
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგი
- მონიტორინგის შედეგებისა და ანალიზის გამოქვეყნება და გავრცელება
- რეკომენდაციების მომზადება და ადვოკატირება
- საჯარო ონლაინ დისკუსიების გამართვა
- საბოლოო პრეზენტაციის გამართვა

## პროექტის შედეგად:

- გამოვლინდება კოვიდ-19-თან დაკავშირებული საჯარო ფინანსების არასწორი განკარგვის, ანტიკრიზისული გეგმის არაეფექტური შესრულების და დონორებისგან მიღებული დახმარების არასათანადო განაწილების შესაძლო შემთხვევები.
- შემცირდება კოვიდ-19-ის კრიზისის განმავლობაში, ადამიანის უფლებების არაპროპორციული შეზღუდვის რისკები.
- ამაღლდება საზოგადოების ცნობიერება კოვიდ-19-თან დაკავშირებული ხარჯების და ადამიანის უფლებების თვალსაზრისით არსებული გამოწვევების და ხარვეზების შესახებ.